

სიმულაკრები და სიმულაციები

აკაკი მიქაია

სამინაო ნაშრომი

შესრულებული სასწავლო კურსის ფარგლებში

„ფანტასტიკა დასავლურ ლიტერატურაში“

კურსის ხელმძღვანელი: პროფ. ლევან ცაგარელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

სარჩევი

შესავალი	1
1. ჟან ბოდრიარის წიგნი - სიმულაკრები და სიმულაციები.	2
2. სიმულაციური სამყაროს შექმნის ეტაპები და მისი შენარჩუნება	3
2.1. იმიჯის I ფაზა ანუ დიდი ძმის ხატის შექმნა	4
2.2. იმიჯის II ფაზა ანუ რეალობის დამახინჯება	5
2.3. იმიჯის III ფაზა ანუ ილუზიის შენარჩუნება	6
2.4. იმიჯის IV ფაზა ანუ რეალობა აღარ არსებობს და ის მთლიანად ილუზიადაა ქცეული	7
3. სიმულაკრები და სიმულაციები ჩვენს დროში	8
დასკვნა	9
გამოყენებული ლიტერატურა	10
გამოყენებული ლიტერატურა ქართულად	11
გამოყენებული ლიტერატურა ინგლისურად	11

შესავალი

ჯორჯ ორუელის რომანი *1984* გამოიცა 1949 წელს. ამის შემდეგ მას აქტუალობა არ დაუკარგავს და მუდმივი განხილვის საგანია. რომანი არის ანტიუტოპიური ჟანრის ანუ აქ ავტორი არ მიელტვის რაღაცის უნიკალურად და საუკეთესოდ, იდეალურად წარმოჩენას, არამედ, პირიქით, ანტიუტოპია არის შეტყობინება, რათა ხალხმა დაინახოს ბოროტება და შეიარაღდეს სისტემასთან საბრძოლველად, ჯ. ორუელის მიზანიც სწორედ ეს იყო: შეეიარაღებინა დაბალი ფენის წარმომადგენლები, რათა კომინუზმს დაპირისპირებოდნენ.

ჯორჯ ორუელი იყო სოციალისტური პარტიის წევრი, თუმცა მან ესპანეთის სამოქალაქო ომის შემდეგ გადაწყვეტილება შეცვალა. ორუელი ესპანეთში ებრძოდა ფაშიზმს, მაგრამ პარალელურად მან დაინახა კომუნიზმის ნამდვილი სახე. მწერალს აღიზიანებდა მხოლოდ აბსტრაქტული, უპიროვნო ცნებები, თუ მას პრაქტიკული საქმეებიც არ უმაგრებდა ზურგს. ორუელმა შენიშნა, რომ სოციალიზმის სიტყვა და საქმე ერთმანეთს შორდებოდა და ეს უკანასკნელი ფაშიზმს ემსგავსებოდა. სწორედ ამის საფუძველზე გადაწყვიტა, დაეწერა ანტიუტოპიური რომანი *1984*.

რომანს გამოცემის დღიდან ძალიან ბევრი მკვლევარი ჰყავდა და ჰყავს ახლაც, რომლებიც ცდილობდნენ ორუელის შეტყობინების წაიკითხვას და განიხილავდნენ მას სხვადასხვა კუთხით. ორუელის რომანში მართლაც შესაძლებელია უამრავი საკითხის გამოყოფა, როგორებიცაა: მარქსიზმი და ჯორჯ ორუელი, შიში, როგორც ძალაუფლების იარაღი, ადამიანის გონების ფსიქოლოგიური იარაღებით რეცხვა და ა.შ.

ამ ნაშრომში მე შევეცდები, ჟან ბოდრიარის წიგნზე „სიმულაკრები და სიმულაციები“ დაყრდნობით, ვიმსჯელო რომანის მიხედვით შემდეგ საკითხებზე: ილუზიის შექმნა მმართველი ძალის მიერ და ადამიანთა მუდმივი ყოფნა ამ ილუზიაში. ვეცდები განვმარტო, რატომ არ კარგავს ორუელის რომანი აქტუალობას და რა შეიძლება იყოს დღევანდელი ილუზიის წარმომქმენლი საშუალებები.

სიმულაკრები და სიმულაციები

1. ჟან ბოდრიარის წიგნი - სიმულაკრები და სიმულაციები

ჟან ბოდრიარის წიგნი, „სიმულაკრები და სიმულაციები“ გამოიცა 1981 წელს და შემდეგ 1998 წელს. სტენფორდის უნივერსიტეტის გამოცემულ ბოდრიარის ტექსტების კრებულში შესულია ერთ-ერთ სტატიად (ბოდრიარი 2013, 13).

Simulacrum ლათინური სიტყვაა და ნიშნავს image-ს, ხატს, სურათს, ასახულს, იმას, რაც ბამავს ორიგინალს (ბოდრიარი 2013,14).

ჟან ბოდრიარი ამ წიგნში აყალიბებს იმიჯის გავითარების ოთხ ფაზას:

1. ის არის საფუძველ-რეალობის რეფლექსია;
2. ის ნიღბავს და აფუჭებს საფუძველ-რეალობას;
3. ის ნიღბავს საფუძველ-რეალობის არ ყოფნას;
4. ის არ შეიცავს მიმართებას რაიმე რეალობასთან, იმიტომ ,რომ ის არის საკუთარი თავის წმინდა სიმულაკრი.

როგორც ჟან ბოდრიარი განმარტავს:

პირველ შემთხვევაში იმიჯი არის კარგი: რეპრეზენტაცია საიდუმლოს წესიდან მომდინარეობს. მეორე შემთხვევაში ის არის ბოროტი - დამღუპველი წესიდან გამომდინარეობს. მესამე პუნქტი გვეუბნება, რომ ის თამაშობს მოვლენად ყოფნას: ის ჯადოქრობაა. მეოთხე შემთხვევაში ის საერთოდ აღარ ეკუთვნის მოვლენის ტიპის ფენომენს, არამედ სიმულაციას. (ბოდრიარი 2013, 26)

2. სიმულაციური სამყაროს შექმნის ეტაპები და მისი შენარჩუნება

2.1. იმიჯის I ფაზა ანუ დიდი ძმის ხატის შექმნა

რომანში მოქმედება ვითარდება ლონდონში, რომელიც ოკეანიის ერთ-ერთი ქალაქია. ოკეანიის ისტორია იწყება ომებითა და რევოლუციებით, სადაც მთავარ ფიგურად დიდი ძმა გვევლინება. რომანის მთავარი გმირი, უინსტონი, ისტორიის საბავშვო სახელმწიფვანელოში კითხულობს, რომ რევოლუციამდე ქვეყანას კაპიტალისტები მართავდნენ და ხალხი ძალიან ცუდ დღეში იყო. ისინი 16 საათი მუშაობდნენ მონებივით და არაფრის უფლება არ ჰქონდათ. მათ არ ერქვათ მონები, მაგრამ იყვნენ. ყველაფერი, რისი პერობაც შეიძლებოდა, კაპიტალისტების ხელში იყო და ხალხიც იძულებული იყო, დამორჩილებოდნენ კაპიტალიზმს (ორუელი 2011, 69).

სწორედ ამ დროს გამოჩნდება დიდი ძმა, იგი რევოლუციის წყალობით კაპიტალისტებს გადააყენებს და ხალხისთვის თავისუფლებას მოიტანს. დიდი ძმა ერთგვარ მხსენელად ევლინება ოკეანიას, მაგრამ უინსტონს ეს არ ახსოვს, იგი ამას ისტორიის წიგნში კითხულობს. დიდი ძმის მოსვლის შემდეგ იქმნება და ვრცელდება მისი ხატი. მისი, ხატად გარდაქმნის, მაგალითია ის, რომ სიმულაციის ორწუთეულის დროს პარტიის ერთ-ერთი თანამშრომელი ლოცვასაც კი იწყებს დიდი ძმის სახელზე (ორუელი 2011,18).

ყველა კედელზე მისი პლაკატია გაკრული, ყველაგან მასზე ლაპარაკობენ და ქება-დიდებას ასხამენ მას. აღარავის ახსოვს პარტიისა და დიდი ძმის ისტორია, მაგრამ ყველამ იცის, რომ დიდი ძმა მნიშვნელოვანი ფიგურაა. ყვეალფერი დადებითი და კარგი პარტიასა და დიდ ძმას მიეწერება, მათ შორის, თვითმფრინავის გამოგონებაც (ორუელი 2011, 36). ამან განაპირობა ის, რომ დიდი ძმა ყველგან იყო და ყველაფერი მასში კონცენტრირდა. ის ყველაფრიდან უმზერდა ყველას და ყველგან იყო: ფულზე, მარკებზე, წიგნის ყდებზე, დროშებზე, პლაკატებზე, სიგარეტის კოლოფზე და ა.შ. მისგან თავის დაღწევა შეუძლებელი იყო (ორუელი 2011, 28). ეს არის ბოდრიარის იმიჯის განვითარების პირველი ფაზა, სადაც დიდი ძმა ხატად ყალიბდება.

2.2. იმიჯის II ფაზა ანუ რეალობის დამახინჯება

მაგრამ დიდი ძმის ხატის ჩამოყალიბება არ იქნებოდა იმისთვის საკმარისი, რომ პარტიას ძალაუფლება შეენარჩუნებინა და ამიტომაც პარტიამ გამოიგონა, რომ მას ომი ჰქონდა ევრაზიასთან (ან აღმოსავლეთ აზიასთან) და ალიანსში იყო აღმოსავლეთ აზიასთან (ან ევრაზიასთან). ამით პარტია ქმნის საფრთხეს, რომლისგანაც დიდი ძმა დაიცავს

მოსახლეობას და დიდ ძმას ექნება საშუალება, განაცვიფროს ხალხი და გამოამწყვდიოს ისინი ილუზიაში.

ამისთვის არსებობდა სიძულვილის ორწუთეულიც, რომლიდანაც პარტიის წევრები შეიტყობდნენ ხოლმე დიდი ძმის გამარჯვებას მტერთან და მტრის მხარეს დაღუპულთა კოლოსალურ რაოდენობას. პარტია ყოველმხრივ ცდილობდა, რეალობა დაემახინჯებინა და ექცია ილუზიად, სადაც ერთადერთი სიმართლე პარტიის მიერ იქნებოდა გამოთქმული. პარტია ამცირებდა შოკოლადის ულუფას, თუმცა ამას ხალხი ვერ ამჩნევდა და ეკრანის მიერ თქმული სიტყვისა, რომ იზრდებოდა შოკოლადის ულუფა, სჯეროდა (ორუელი 2011, 56-57).

მუდმივად კეთდებოდა განცხადებები იმის შესახებ, რომ პარტია გადაჭარბებით ასრულებდა თავის წლიურ ნორმებს და ყველაფერში მოწინავე იყო. რეალობა მახინჯდებოდა და ნელ-ნელა მის ადგილს ილუზია იკავებდა. ილუზია, რომელიც ყველას რეალობად მოეჩვენებოდა და შეუძლებელს გახდიდა უკან, საწყის რეალობაში დაბრუნებას (ორუელი 2011, 57).

2.3. იმიჯის III ფაზა ანუ ილუზიის შენარჩუნება

ილუზიის შენარჩუნების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება იყო ყურადღების გადატანა სხვა რამეზე. მაგალითად, ომზე, რომელზეც ზემოთ ვილაპარაკე. ლონდონის ქუჩებში დროგამოშვებით ვარდებოდა ბომბები, რაც ხალხს მუდმივად აუწყებდა, რომ ოკეანია ომში იყო და მათ სხვა რამისთვის საფიქრალად არ ეცალათ.

ასევე ილუზიის შენარჩუნებას ხელს უწყობდა ახალმეტყველების ლექსიკონი, რომელიც სპეციალურად იქმნებოდა და ერთადერთი ლექსიკონი იყო, სადაც წლიდან წლამდე სიტყვები მცირდებოდა, რაც გამოწვევდა ცნობიერების დიაპაზონის შემცირებას (ორუელი 2011, 51). ცნობიერების დიაპაზონის შემცირება კი ხალხს სამუდამო ილუზიას უქადის, რადგან მას აღარ ექნება საშუალება, გამოხატოს თავისი ტკივილი და წუხილი პარტიის მიმართ და მათი ცნობიერება ნელ-ნელა დაუბრუნდება პირველყოფლ მდგომარეობას, რომელშიც მას მხოლოდ პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ანაღვლებდა. პარტია კლავს გამოხატვის საშუალებას - ეს ახალმეტყველების ძირითადი მიზანი იყო.

პარტია რომ წარმატებით ახორციელებს თავისი ილუზიური სახელმწიფოს შექმნის იდეას, ჩანს უინსტონის სიტყვებში: „სიძულვილის ორწუთეულის მთელი საშინელება ის კი არ იყო, რომ მაყურებელს ამ პროცესში მონაწილეობას ავალდებულებდა, არამედ ის, რომ შეუძლებელს ხდიდა მასში ჩაურთველობას“ (ორუელი 2011, 16). ამ წინადადებიდან ჩანს, რომ პარტიის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები ჩვეულებრივ და

მექნიკურ მოვლენად იქცა, რომელსაც თავს ვერ აღწევს რომანის მთავარი გმირი. ის ამას უნებურად აკეთებს, ანუ პარტია პროგრესს განიცდის და დროთა განმავლობაში უფრო ღრმად იდგამს ფესვებს.

მაგრამ ზოგჯერ პარტიაში გამოერეოდნენ ისეთი ელემენტები, რომლებიც პარტიის იდეოლოგიას ეწინააღმდეგებოდნენ, თუმცა, არც ეს იყო პარტიისთვის დიდი თავსატეხი. მსგავსი ადამიანები, ქრებოდნენ და უკან აღარ ბრუნდებოდნენ. თუ ბრუნდებოდნენ, სრულიად შეცვლილნი. უინსტონი ამბობს, რომ ისინი მუდამ ღამით ქრებოდნენ და „

შენს სახელს რეესტრიდან იღებდნენ და ყველა ჩანაწერს შენი საქმიანობის შესახებ ერთიანად შლიდნენ. შენი ერთჯერადი არსებობა სამუდამო დავიწყებას ეძლეოდა. შენ გაუქმებული, ანულირებული, ანუ, როგორც ამბობდნენ, აორთქლებული იყავი“ (ორუელი 2011, 21).

არახელსაყრელი პირები პარტიას არ სჭირდებოდა და თავდაპირველად ცდილობდნენ, ფსიქოლოგიურად შეეციათ და პარტიის იდეოლოგიები ჩაებეჭდათ მათთვის თავში, რადგან შემდეგ ხალხში მათ მიერ წარმოთქმული პარტიული ქება-დიდება უფრო გააძლიერებდა პარტიას. იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდებოდა, რომ მათზე ფსიქოლოგიურმა იერიშმა არ გაამართლა, ასეთი ადამიანები, როგორც აღინიშნა, ქრებოდნენ სამუდამოდ.

2.4. იმიჯის IV ფაზა ანუ რეალობა აღარ არსებობს და ის მთლიანად ილუზიადაა ქცეული

ილუზიის შემნა, ძირითადად, ჭეშმარიტების სამინისტროში მომუშავეთ ევალეობდათ, ისინი იყვენენ შემსწორებელნი და თავიდან მბეჭდავნი, რათა ყველაფერი ერთმანეთს დამთხვეოდა და სისტემას საათივით ემუშავა. სწორედ ისინი უზრუნველყოფდნენ ილუზიად ქცეული რეალობის შენარჩუნებას. ისინი იღებდნენ ლიტერატურიდან არაპარტიულ იდეებს და ცდილობდნენ, ირგვლივ მხოლოდ პარტიის ქება-დიდება ყოფილიყო...ვინც წარსულს აკონტროლებს, ის აკონტროლებს მომავალს. ვინც აკონტროლებს აწმყოს, აკონტროლებს წარსულსაც“ (ორუელი 2011, 35) - პარტიის ეს ლოზუნგი ბოდრიარის იმიჯის განვითარების მეოთხე ფაზას შეესაბამება. ანუ, რაც დღეს იყო შეჭმარიტება, სწორედ ის იყო წარსულშიც. თუ პარტია იტყოდა, რომ ევრაზიას ებრძვის, გამოდიოდა, რომ ის წარსულშიც ევრაზიას ებრძოდა. მეოთხე ფაზაში ისტორია იქმნება დღეს და ისტორია აღარაა ინფორმაცია წარსულის შესახებ. „სადღეისო ჭეშმარიტება სამუდამო და საუკუნო ჭეშმარიტება იყო“ (ორუელი 2011, 35).

ისტორიის ცვლილებით ყოველგვარი კავშირი წყდება რეალობასთან და ყველაფერი საკუთარი თავის სიმულაკრად იქცევა. ილუზიაში ცხოვრებას კი ამარტივებს „ორაზრი“.

ორაზრის ფარგლებში საჭირო იყო „თანაბარი რწმენით გეტარებინა ორი ურთიერთგამომრიცხავი შეხედულება; ლოგიკა გამოგეყენებინა ლოგიკის წინააღმდეგ, უკუგედო ზნეობა და თან მოგეწოდებინა მისკენ“ (ორუელი 2011, 35). ორაზრის მიზანი იყო, ადამიანს პარტიის მოთხოვნების მიხედვით დაევიწყებინა ან, პირიქით, გამოეხმო მოგონებები მეხსიერებიდან და საკუთარ თავში მოესპო საფუძველი რეალობაში დაბრუნებისა. ჯ, ორუელი ამ პროცესს „თვითჰიპნოზის აქტს“ უწოდებს. ორაზრის საშუალებით ეს აქტიც უნდა დაევიწყებინათ. თავად ორაზრიც ორაზრით უნდა დაევიწყებინათ და უგულებელეყოთ (ორუელი 2011, 35).

ოკეანიაში საჭირო იყო მუდმივი გამარჯვება საკუთარ მეხსიერებაზე და არავის უნდა ეფიქრა იმაზე, რა ხდებოდა წარსულში და როგორ შეცდომებს უშვებდა პარტია. ადამიანის მთავარი მოვალეობა იყო პარტიისთვის ბოლომდე ბრმად ესმინა და დაეჯერებინა. ეცხოვრა მუდმივ ილუზიაში.

აქ არის კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც ოკეანიას კიდევ უფრო ილუზიურ სახელმწიფოდ წარმოაჩენს. ეს არის დიდი ძმა, რომელიც არსად არასდროს არ ჩანს, გარდა ტელეეკრანებისა. შესაძლებელია, რომ ისიც ილუზია იყოს, დაქირავებული მსახიობი, რომელიც დიდ ძმად ასაღებს თავს და წარმოგვიდგება, როგორც პარტიის წინამძღოლი. თუმცა ეს ყველაფერი ილუზია აღარ არის, რადგან რეალობა გახდა შეუძლებელი (ბოდრიარი 2013, 48). პარტია ცდილობს, ასე ღმად დაიცვას იმიჯები და დამალოს ისინი, რადგან „სახიფათოა იმიჯების განიღბვა, რადგან ისინი ფარავენ ფაქტს , რომ მათ უკან არაფერია“ (ბოდრიარი 2013, 24).

3. სიმულაციები და სიმულაციები ჩვენს დროში

დღეს, „ფეისბუქისა“ და „იუთუბის“ სამყაროში, უფრო მეტად აქტუალური გახდა ჯ. ორუელის რომანი *1984*. დღეს ადამიანი უფრო გრძნობს თავს სისტემაში, სადაც უთვალთვალებენ, ვიდრე - უწინ, რადგან ამის საშუალებას ტექნოლოგიური პროგრესი იძლევა. დღეს ემპირიული რეალობა ჩაანაცვლა ვირტუალურმა სინამდვილემ, წერილი - მესიჯებმა, რომელიც მტრედზე სწრაფია და სულ რამდენიმე წამი სჭირდება. თითქოს ყველაფერი აჩქარდა და გამარტივდა, მაგრამ აქვე წამოიჭრება ბოდრიარის იმიჯის განვითარების მეხუთე ფაზა: „ის ხდება რეალობის საფუძველი და ამ რეალობის შექმნის შემდეგ რეალობა, როგორც საფუძველი, აღარ არსებობს“ (ბოდრიარი 2013, 71). ამრიგად ოკეანის მეოთხე რიგის სიმულაცირიდან ადამიანებმა გადაინაცვლეს მეხუთე რიგის სიმულაცირში.

თუკი მეოთხე რიგის სიმულაციური სამყაროს აღარ მიიჩნევდა საჭიროდ - იწყებდა რა იმიჯების(სიმულაციების) წარმოებას-კვლადწარმოებას, საფუძველ-რეალობა მხოლოდ და მხოლოდ მომბეზრებელ უხერხულობას წარმოადგენდა, მეხუთე რიგის სიმულაციური მთლიანად იქვემდებარებს საფუძველ-რეალობას და ფიზიკურის მიზეზად ელექტრონულს აქცევს. თუკი მეოთხე რიგის სიმულაციური, უბრალოდ, იჭრებოდა რეალობაში და საკუთარი თავით ანაცვლებდა რეალურს და რეალურის მნიშვნელობას, მეხუთე რიგის სიმულაციური აღადგენს სტატუს-კვოს, ოღონდ - შეტრიალებულად: თვითონ ხდება აღდგენილი და დადგენილი რეალობის სტატუს-კვოს საფუძველი“ (ბოდრიარი 2013, 73-74).

დიდი ძმა შეცვალა „ფეისბუქმა“ და დღეს სწორედ ის „გვიყურებს“, მაგრამ უფრო ყურადღებით და მასშტაბურად, ვიდრე - დიდი ძმა. ჯ. ორუელის გმირმა, უინსტონმა, სცადა შეეცვალა საკუთარი იდენტობა, თუმცა მან ამაზე სისტემისგან ძალიან ძლიერი დარტყმა მიიღო და ამან ხელი ააღებინა იდენტობის შეცვლაზე. „ფეისბუქი“ - კი ამის საშუალებას მარტივად გვაძლევს. ავატარის შეცვლით, სატუსებისა და კომენტარების წაშლა-დამატებით შესაძლებელი ხდება ახალი იდენტობის ჩამოყალიბება.

დასკვნა

ჯორჯ ორუელის რომანზე 1984 დაკვირვების საფუძველზე წარმოჩინდა როგორ ხდება ილუზიის შექმნა და მისი შენარჩუნება ოკეანიაში. ასევე დავადგინეთ რატომ არ კარგავს აქტუალბას ჯ. ორუელის ნაწარმოები - რადგან ადამიანი ყოველთვის განიცდის თვალთვალს, მით უმეტეს, დღეს, როდესაც პროგრესმა სახელმწიფოს საშუალება მისცა და გაამრავალფეროვნა კონტროლის მექანიზმები. დღეს სახელმწიფოს კამერა გვითვალთვალებს, მაგრამ დღეს ხალხის უმეტესობას საკუთარი კამერები აქვს და შეუძლია ნებისმიერ დროს გადაიღოს, ნებისმიერი ჩვენგანი, შემდეგ კი, ერთი მარტივი მოძრაობით, ვიდეო „ფეისბუქზე“ ან „იუთუბზე“ მოხვდეს, სადანაც ყველა შეიტყობს ჩვენ შესახებ. ასე რომ, დღეს უფრო რთულია თვალთვალს გაექცე, ვიდრე ოკეანიის დროს.

ზემოთ განხილული საკითხებიდან ასევე გაირკვა რომ ისეთი თავისუფლებიც არ ვართ, როგორც ეს ჩანს და შეძლება დღეს, როდესაც ადამიანებს თავი თავისუფალი გვგონია სახელმწიფო გვითვალთვალებს მალულად. ასევე წარმოჩინდა ტექნოლოგიური პროგრესის უარყოფითი მხარეები, რომლებიც მაკონტროლებელთა წისქვილზე ასხამს წყალს, ჩვეულებრივ ადამიანს კი უქმნის ილუზიას და აცხოვრებს მასში. ეს ილუზია კი ადამიანის მიერ აღიქმება რეალობად.

გამოყენებული ლიტერატურა

გამოყენებული ლიტერატურა ქართულად

1. ბოდრიარი, ჟან. 2013. *სიმულაკრები და სიმულაციები*. თარგმანი: გიგი თევზაძე. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
2. ორუელი, ჯორჯ. 2011. *1984*. თარგმანი: დავით აკრიანი. პალიტრა L.

გამოყენებული ლიტერატურა ინგლისურად

1. Carr, Crai. *Orwell, Politics, and Power*. New York, NY, USA: Continuum International Publishing (2010).
<http://ezproxy.iliauni.edu.ge:2053/lib/iliauni/docDetail.action?docID=10438527&p00=orwell%20power%20politics> (25/12/2013 22:17)
2. Cohen, Steve. *Deportation Is Freedom!: The Orwellian World of Immigration Controls*. London, GBR: Jessica Kingsley Publishers (2005).
<http://ezproxy.iliauni.edu.ge:2053/lib/iliauni/docDetail.action?docID=10130560&p00=deportation%20freedom> (10/02/2014 15:30)